# ივერია

გაზეთის ღირს

| თუმე | მან. კ. | თუმე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 5 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და ყოველ განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდირბეგიშვილის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტ, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


ტფილისი, 16 სექტემბერი

როცა რომელისამე ოჯახის ავკარგიანობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უსათუოდ ქალი უნდა ვიყოლიოთ, რადგანაც ქალია უმთავრესი და უმტკიცესი საძირკველი ოჯახობის რიგიანობისა. ამიტომაც ჩვენის ოჯახის თვისებათა აღწერილობის შემდეგ ნება გვაქვს შევუდგეთ თანამედროვე ქართველ ქალის თვისებათა განმარტებას.

ოჯახის ავ-კარგიანობა უმთავრესად დამოკიდებულია ქალზე და გვიჩვენებს, თუ რა თვისებათა მექონეა ქალი და, რასაკვირველია, თვით ქალის ავ-კარგიანობაც ოჯახის ავ-კარგიანობის მაჩვენებელია. ამ მარტივის, ყველასათვის ადვილად გასაგებ აზრის მიხედვით თუ შევხედავთ ჩვენს ქალსა და ოჯახს, ნათლად დავინახავთ, რომ არც ჩვენი ოჯახი სდგას იმ წერტილზე, რა წერტილზედაც უნდა იდგეს, და არც ქალი. ყოველს ფეხის ნაბიჯზე, ყოველ დღე გესმით საყვედური, ქართველ ქალებისადმი მიმართული. მოხუცი, ყრმა, დიდი და პატარა, თავადი და გლეხი, ყველა სჩივის ქართველს ქალზე, მეტადრე ახალგაზდებზე. რასაკვირველია, ამ საყვედურში ბევრი რამ უსაფუძვლოა, მაგრამ ბევრი მართალი და საყურადღებოა. ზოგნი ქალებს იმას უჩივიან, რომ ისინი ასცილდნენ ნამდვილს წრეს დედაკაცისას, ოჯახს, ქმარსა და შვილს არ დაეძებენ და უფრო უზრუნველად ფართამობას მისდევენ, ოჯახის სარჩო-საბადებელს ტანთ-საცმელში ჰფლანგვენ და უსაქმოდ დროს ატარებენო. ზოგნი იმასა სჩივიან, რომ ჩვენი ქალები, რომლებიც ნასწავლ ქალებად ითვლებიანო, გონება-გაუხსნელნი არიანო, საკმაო სწავლა-ცოდნა არა აქვთო, და ის განათლება-კი, რომელიც აქა-იქ შეუძენიათ, არც გამოსადეგია და არც მდგომარეობის შესაფერიო.

თუ ამ საყვედურებს ჩავუკვირდებით არ შეგვიძლიან არ აღვიაროთ მათი სიმართლე. მართლადაც ვიცით და გაგონილიც გვაქვს, რომ არა ერთმა და ორმა ქალმა თავისის უზრუნველობით, უზომო ფლანგვა-ხარჯვით, დაუდევრობით ბოლო მოუღო არა ერთისა და ორის ოჯახის სიმდიდრეს, ავლადიდებას; ისიც ვიცით, რომ მრავალ ქალებს არავითარი ყურადღება არ უთხოვებიათ თავიანთ შვილების აღზრდისათვის, არ უფიქრნიათ მათის მერმისისათვის და თავიანთ ოჯახის ყოფა-ცხოვრებასთან ერთად სამუდამოდ დაუღუპავთ თავიანთი შვილები.

მართალია, უკანასკნელ ხანებში ვზრდით ქალებს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ საფუძვლიანად ავზარდოთ იგინი და მივცეთ საშუალება ნამდვილი სწავლა-ცოდნა შეიძინონ, არამედ იმისთვის, რომ სხვებიც და სხვაგანაც ზრდიან ქალებსა... ჩვენ სხვებს მივბაძეთ და იმას-კი არა ვკითხულობდით, თუ როგორა ზრდიან ჩვენს ქალებს, რასა და როგორ ასწავლიან. აი, სხვათა-შორის, ამიტომაც უჩივიან ჩვენი დედ-მამები თავიანთ ნასწავლ ქალებს და სრულიადაც სამართლიანად...

ყოველივე ეს მართალია, მაგრამ ნება არა გვაქვს მარტო ქალებს დავდოთ ბრალად მათნი ნაკლულევანებანი. უეჭველია, რომ ამ საქმეში დიდი დანაშაულობა მიუძღვის თვით დედ-მამებს, რომლებიც არა ზრუნავდნენ და არც შეეძლოთ რიგიანად ეზრუნათ მოზარდ ქალების ბედზე. ეხლა-კი, როცა გამოცდილებამ, მრავალმა მაგალითებმა გვიჩვენეს, თუ რამდენად უვარგისია ყალბი სწავლა-ცოდნა, როცა ყალბმა განათლებამ ლამის საძირკველი გამოუთხაროს ჩვენს ოჯახს, ეხლა-კი საჭიროა ყურადღება ვათხოვოთ ქალების აღზრდას. თუმცა ეხლანდელმა ქალების სწავლა-განათლებამ ბევრს გული აუცრუა საზოგადოდ სწავლა-განათლებაზე, მაგრამ დრო არის დავრწმუნდეთ, რომ ქალებისათვისაც საჭიროა ნამდვილი სწავლა-განათლება, რომ ქალების აღზრდას ნაკლები-კი არა, მომეტებული ყურადღება უნდა ვათხოვოთ, ვინემ ვაჟებისას... ჩვენი საზოგადოება ვაჟების აღზრდას მცირეოდენს ყურადღებას აქცევს, აარსებს მათთვის სასწავლებლებს ბევრად თუ ცოტად ჩვენს მდგომარეობასთან შეფერებულთ, მაგრამ ქალების რიგიანად და საფუძვლიანად აღზრდისათვის-კი თითქმის არა გაუკეთებია-რა. ჩვენ დავაარსეთ სამიოდე სათავად-აზნაურო სკოლები ვაჟებისათვის, მაგრამ ქალებისათვის-კი არა გვიფიქრნია-რა; მათ ბედს გულ-გრილად შევყურებდით, და ამ გარემოებას რა შედეგი, ნაყოფი მოჰყვა, ამას ყველანი კარგადა ვგრძნობთ.

ზემოდ მოხსენებულიდამ ცხადია, რომ ჩვენი ოჯახი მაშინ იცვლის ფერს, ხასიათს და მასთან ერთად მთელის საზოგადოების ცხოვრებაც, როცა ჩვენს ქალების ბედს მომეტებულ ყურადღებას ვათხოვებთ, მათს სწავლა-განათლებაზე ვიზრუნებთ. როცა ნასწავლი დედები, დები და ქალიშვილები გვეყოლება, მაშინ ჩვენი ცხოვრება და ჩვენი ყმაწვილ-კაცობაც რიგიანს გზას დაადგება. აი, ამისათვის საჭიროა გაორკეცებულის გულმოდგინებით და მეცადინეობით ვიზრუნოთ ქალების აღზრდაზე, მათს მერმისზე და მაშასადამე საზოგადო ბედნიერებისათვისაც. ამ წმინდა საგნისათვის არც ხარჯს უნდა შევუშინდეთ, არც მეცადინეობა უნდა დავზოგოთ, თუ გვინდა, რომ ჩვენს საზოგადოებას უკეთესი ცხოვრება დავუმკვიდროთ.

ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** პეტერბურგიდამ ჩამოიდა კავკასიაში დირექტორი ამიერ-კავკასიის რკინი-გზისა, ბ-ნი სალოეი, რომელმაც უნდა რევიზია მოახდინოს ამ გზის მდგომარეობის თაობაზე. ჯერჯერობით ბ-ნი სალოეი განსაკუთრებულ მატარებლით დაიარება ამიერ-კავკასიის ლინიაზე და ათვალიერებს როგორც გზას, აგრეთვე სადგურებსა.

*** თუმცა ყოველ დღე გაზეთები სჩივიან ქალაქის ცხენ-მავალის კონდუქტორებზე, მაგრამ წამალი არა დაედო-რა ამ საქმეს. ერთი და იგივე უწესოება დღეში რამდენჯერმე იჩენს თავს. ბევრჯელ იყო გამოქვეყნებული, რომ ამა-და-ამ კონდუქტორმა ხურდა აღარ დაუბრუნა, ამა-და-ამან ბილეთები აალებინა ბავშვისათვის, რომელიც ეჭირათ ხელში, და სხვანი, მაგრამ ეს ბატონები უფრო უარესს სჩადიან. ვინც-კი დააკვირდება ამათს ქცევას, უსათუოდ იფიქრებს, რომ თუ კონდუქტორებს თავიანთის უფროსებისაგან არა ჰქონდეთ ზურგი მაგარი, ამდენს უკანონობას ვერ ჩაიდენენო, და იქნება არც შემცდარი იყოს ასეთი ფიქრი. ამ რამდენისამე დღის წინად ერთი ყმაწვილი-კაცი ჩაჯდა რიყისკენ მიმავალ ვაგონში, ვარანცოვის ძეგლთან, და აიღო შაურიანი ბილეთი. რიყის სადგურზე რომ მიედით, ჯერ ორთაჭალიდამ არ მოსულიყო ის ვაგონი, რომელზედაც უნდა გადაემსხდარეიყავით. ხსენებული ყმაწვილი სადგურზე გამოელაპარაკა ერთს თავის ნაცნობს და, ლოდინში და ლაპარაკში, გაიარა სწორედ 23 ნაბიჯი და აქ დაუწყო ცდა. მოვიდა ორთაჭალის ვაგონი, შეისვენა 6—7 წუთი და დაბრუნდა უკან. აქ ეს ყმაწვილი კაციც ჩაჯდა და წავიდა. კონდუქტორმა რომ ჩამოიარა ბილეთების დასარიგებლად, იმან წარუდგინა თავისი ბილეთი, რომლითაც ნება ჰქონდა ორთაჭალის სადგურამდის წასულიყო. სხვების ბილეთი მიიღო კონდუქტორმა და ამისი-კი არა: ფეხები არ გეტკინებოდა, რომ სადგურზე მობძანებულიყავი და იქ ჩამჯდარიყავო, უთხრა კონდუქტორმა. ამან არ აიღო ახალი ბილეთი. პოლიციელს დაუძახა კონდუქტორმა; პოლიციელს უთხრეს მოწმებმა, ამანაც ბილეთი ჩვენთან აიღო, ჩვენთან მოდის; კონდუქტორი ჩვენს ბილეთს იღებს და მაგისას არაო. პოლიციელმა გამოიჩინა კეთილ-გონიერება და ხელი არ ახლო ყმაწვილ-კაცს. ეს უკანასკნელი დაემუქრა, გიჩივლებ შენს უფროსებთან; თუ-კი ჩემი გაცარცვა გაბედე, სხვებს რაღას უზამო; ხვალვე დაგითხოვენო. კონდუქტორმა უპასუხა: მე როგორც მიბრძანებენ, ისე

# ფელეტონი

### ქართველ მგალობელ-მომღერალთა გუნდს რა ეჭირვება?

(დასასრული*)

ყველაზედ პირველად ის მოსაზრება უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რა არის მომღერალთა გუნდი, რა დანიშნულებას ემსახურება და ეს ხელოვნება რომ ხელობად გახდეს, შეუძლიან გაუძლევს და დააკმაყოფილოს თავისი საჭიროება, თუ არა?

ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ საზოგადო მნიშვნელობა და დანიშნულება მომღერალთა გუნდისა. რაც შეეხება იმის გამორკვევას, რომ სიმღერა ხელობად შეიქმნას სახსარის მოსაპოვებლად, ამას-კი დაკვირვება ეჭირვება.

მომღერალთა და მგალობელთა გუნდნი ევროპის განათლებულ და დაწინაურებულ ქვეყნებში ყველგან იპოვებიან, ყველაზე მომეტებულად იგინი არიან ან ეკკლესიებში მგალობელნი, ან თეატრებში მომღერალნი, ან სამუსიკო დაბალ და მაღალ სასწავლებლებში. უმთავრესი ადგილები, სადაც ევროპაში კაცი მგალობელ-მომღერალთა გუნდსა ჰნახავს, მხოლოდ ეს სამი დაწესებულებაა. იქ მგალობელ-მომღერალნი თავის გალობა-სიმღერას მუსიკის საკრავებთან აერთებენ. რაც შეეხება ცალკე მგალობელ-მომღერალთა გუნდსა, რომელიც მარტო ხმით, უმუსიკოდ გალობს, არსებობს ზემოხსენებულ სამ დაწესებულებათა გარეშეც, ხოლო სიმარჯვით და მოწყობით სუსტია. ამ გვარ მომღერალთა გუნდი უფრო აქა-იქ დაიარება ლუკმა პურის საშოვრად. ამის გამო ასეთნი გუნდნი ხელოვნებითაც ძალიან დაბლა დგანან და მცირე მნიშვნელობა აქვთ ხელოვნებისათვის. ამათში მხოლოდ ერთი სიმღერის გუნდი გამოირჩევა, რომელიც ტიროლიდამ გამოდის და ევროპაში მოგზაურობს მხოლოდ განსაკუთრებულის და დიდის ღირსების სიმღერის გამო. (ამ სიმღერის კილო, ანუ ჰანგი მეტად მშვენიერია, მდიდარია; ხმის ტრიალს და გამოცემას**) ტიროლის შვილის მეტი სხვა ვერ ახერხებს, ვერ შეუსწავლია და ამას გარდა ვერც ნოტებზეა შესაძლო ყოვლის სისრულით გადაღება). უმუსიკოდ მომღერალთა გუნდი თუ არსებობს, ისიც აღმოსავლეთ ევროპაში, ზოგიერთ სლავიანებში და რუსეთში, სადაც იმ თავითვე მუსიკის საკრავს ასპარეზი არ ჰქონია არც ეკკლესიაში, არც თეატრში და არც დიდხანს სამუსიკო სკოლა ყოფილა. ამ გვარად მომღერალთა გუნდები დასავლეთ ევროპაში ულონონი არიან, თვით რუსეთშიაც, ეკკლესიის მგალობელთა გარდა, არ არსებობს მგალობელთა გუნდი, ერთის მეტი, რომელიც სლავიანსკის თაოსნობით არის შემდგარი. ეს გუნდიც იძულებულია ხან რუსეთში, ხან საზღვარ გარედ სიარულსა და მგზავრობასა, რომ ლონის-ძიება მოიპოვოს თავის სარჩენად.

ეს ყილა, ცხადია, იმისგან სწარმოებს, რომ ეხლა მუსიკის და სიმღერის ხელოვნება შეერთებულია ერთად თეატრებში და სკოლებში. მას უფრო ეტანება მოსწავლეცა და მსმენელიცა. მუსიკის დაშორება თუ შესაძლოა აღმოსავლეთ ქვეყნებში, მხოლოდ ეკკლესიაშია შესაძლო, რადგანაც აღმოსავლეთის ეკკლესია არ იწყნარებს მუსიკის ხმარებას საეკკლესიო გალობის დროს.

აქედამ ვგონებ ცხადად სჩანს დაბრკოლება, რომელიც დახვდება ყოველ მომღერალთა გუნდსა, თუ საგნად მხოლოდ სიმღერა აქვს ცალკედ, უმუსიკოდ. ეს დაბრკოლება ჰხვდება ჩვენს მომღერალთა გუნდსაცა.

არის კიდევ სხვა დაბრკოლებაცა, რომელიც უმთავრესად უნდა ითვლებოდეს გალობა-სიმღერის საქმეში, თუ მას ნივთიერის სახსარის მოპოვებაცა აქვს საგნადა. ეს ის მხარეა გალობა-სიმღერისა, რომ თუნდა იგი მუსიკასთან ერთად იყოს შეერთებული, ერთად-ერთი სპეციალური საგანი აქვს, გალობა სიმღერა, ხელოვნება, და არ უერთდება თეატრს, ოპერას. სასცენო ხელოვნებაში, დრამებში, ოპერაში შეერთებულია და დაგვირგვინებულია ბევრ გვარი ხელოვნება და ამისათვის უდიდესი და უპირველესი ადგილიც უჭირავს. ამის გამო ცხოვრებაშიაც დიდი ასპარეზი დაუპყრია და ხალხიც მომეტებულად ეტანება. სამუსიკო გალობა-სიმღერას უფრო მარტივი და შევიწროებული ასპარეზი აქვს. მისი ასპარეზი არის უპირველესად ეკკლესია, მერე სკოლა საზოგადოდ და სამუსიკო—საკუთრად; შემდეგ ვენახ-მინდორი და ბოლოს ოჯახობა.

ამის შემდეგ კიდევ რომ ძირის-ძირამდის ჩავაკვირდეთ გალობა-სიმღერის ურთი-ერთობას სხვა ხელოვნებასთან, მას ყოველთვის ვხედავთ შეკავშირებულად და არა ცალკედ.

თეატრში სიმღერა-გალობა ხმა-შეწყობილ-შეკრულია ადამიანის სიცოცხლის მოქმედებასთან, მოძრაობასთან, მხატვრობასთან, ქანდაკებასა და არხიტექტურასთან, მუსიკასა და პოეზიასთან. მრავალ ფეროვნება ხელოვნე-

*) იხ. „ივერია“ № 191.

**) საქართველოს ერის სიმღერებში ტიროლის ხმების მსგავსი იმერულ, გურულ და მეგრულ ზოგს სიმღერებში იპოვება.

ვიქცევი; მაგაზე-კი არ დამითხოვენ და სხვა-კი არ ვიციო.

უჩივლა. ბ-ნ ლიმბერგმა აღუთქვა ხვალვე დაგითხოვთო, მაგრამ ეს მარტო აღთქმა გამოდგა, სხვა არაფერი.

*** 15 სექტემბერს თათრების დღესასწაული იყო. ამის გამო დილის 8 საათზე, ვარანცოვის ქუჩაზე, დაბლების პირ-და-პირ, მოგროვდა 250 კაცამდე და სულ თავ-პირ დასისხლიანებულნი იყვნენ. ყველას ამოღებული ხანჯლები ეჭირათ ხელში, რაღაც სიტყვების ძახილით ხანჯლებს თავში იცემდნენ და თქრიალით სისხლი გადმოსდიოდათ. ბევრი იყო მათ შორის 8—12 წლის ყმაწვილებიც თავებ დაბასრულები; ზოგი ისე დასუსტებულიყო, რომ სხვებს მოჰყავნდათ ელით. გაათავეს თავიანთის თავების ჩეხვა და აბანოებში შევიდნენ გასაბანებლად. საყურადღებო ისაა, რომ იმათში არც ერთი განათლებული კაცი არ იყო,—სულ დაბალის საზოგადოების წარმომადგენელნი მოგროვილიყვნენ.

*** კაკკაჟიდამ: სოფ. ბრუთში მცხოვრებელს, თათარყანა შანაევს, მოჰპარეს ქისტებმა ათი სული საქონელი. პატრონმა მალე გაიგო და მდევარი შეჰყარა სოფლიდგან. მდევარი გამოუდგა ქურდებს. როგორც მიუახლოვდნენ ქისტები თავიანთ სოფელ ტოისს, მდევარიც მოუწიათ. მდევარსა და ქურდებ შუა ასტყდა თოფის სროლა, მაგრამ ქურდები მალე იძლიენ, დაანებეს თავი საქონელს და გაიქცნენ. ქურდებში ერთი მოჰკლეს მდევართა და მეორე დასჭრეს. ის იყო გათენდა კიდეც და აცნობეს ბ-ნს ბოქაულს. ბოქაული მალე მოვიდა. ქურდების სისხლის კვალს გაჰყვნენ ბოქაული და მდევარი. აღმოჩნდა, რომ ქისტებს წაელოთ მკვდარი ამხანაგი და ტყეში დაემარხათ. დანარჩენს ქურდებს ტოის სოფელი არ აცხადებდა, მაგრამ ზეკუციის ჩაყენება დაუპირეს და ამიტომ დანარჩენი ქურდებიც გაიტეხინეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ხოვლი** (გორის მაზრა), 9 სექტემბერი. გორის მაზრაში ხოვლეში სკოლის სახლი იმოდენად დაძველებულია, რომ სკოლის აივანი, დღეს თუ არა ხვალ, გამოეთხოვება კედლებსა. ეხლა ტფილისის გუბერნიის დირექცია დაჰპირდა ას თუმანს აქაურს საზოგადოებას, ოღონდ ახალი სკოლა ააშენონ ფართო ადგილს, რადგანაც დღევანდელი სკოლა ადგილითაც ვერ მოიწონებს თავს ადგილი ახალის სკოლის შენობისათვის დაუთმეს თავ. ჯავახიშვილებმა, ახლა ურიგო არ იქნება თითონ ჯავახიშვილებმა ეცადონ და ჩააგონონ ხალხს ახალის სასკოლო შენობის აგება, რადგანაც ზოგს მათგანს, მაგალითად, ი. ჯ—ს დიდი გავლენა აქვს ხალხზე.

ახალის სკოლის აშენება აქაურ საზოგადოებისათვის მით უფრო ადვილია, რომ ას თუმანს დირექციიდამ მიიღებს და მასალასაც მუქთად დაუთმობენ აქაური თავადიშვილები კეთილ საქმისათვის. მით უფრო სასურველია ეს საქმე მალე გათავდეს, რომ სწავლის სურვილი ძალიან ძლიერია ჩვენს სოფელში, სადაც სცხოვრობს სამას კომლზე მეტი სული ქართველი გლეხ-კაცობა. ეხლა ამ სკოლაში სწავლობს 72 ყმაწვილი, სულ გლეხთა შვილები. ეხლა-ხან სკოლაში ადგილი არ არის ყველა მსურველთათვის, მაგრამ გლეხები მაინც ემუდარებიან მასწავლებელს, ჩვენი შვილები მიიბარეო. ამას წინად ერთმა გლეხმა, ბერო ბაისონაშვილმა, მოიყვანა შვილი სკოლაში მისაბარებლად, და უთხრა თუ არა მასწავლებელმა: „ადგილი არა მაქვს და აბა სად დავსვაო“, უპასუხა: „დალოცვილო, ოღონდ-კი ჩემი შვილი მიიღე და სკამსა და სტოლს მე თითონ გამოვატან შინიდამაო“.

სკოლა ჩვენში აგერ თორმეტი წელიწადია, რაც არსებობს და უნდა გითხრათ, რომ მისი ზედ-მოქმედება ძალიან შესამჩნევია. ამ თორმეტის წლის განმავლობაში ბევრმა დაასრულა სწავლა; ესენი არც დღეს ივიწყებენ სკოლას და როცა თავისუფალი დრო აქვთ, სკოლისაკენ გარბიან; ისე რიგად ერთობიან აქ კითხვითა და ბაასით, რომ ზოგჯერ შუაღამემდის ფეხს არ იცვლიან. ყმაწვილი გლეხები ერთი-ერთმანერთს კარგა გარკვევით უკითხავენ ქართულს წიგნებს და სტკბებიან ჩვენის მწერლების ნაწერებით. ეს სასიამოვნო ამბავი უყურადღებოდ არ დასტოვა აქაურ ინტელიგენციამ, ერთმანეთში მოაგროვა ოც-და-შვიდი მანათი და ამ ფულით კიდეც გამოიწერა ჩარკვიანის წიგნის მაღაზიიდამ ქართული წიგნები, რათა ამითი მიეცეს საშუალება, ვისაც სურს, სწავლა განაგრძოს სკოლაში სწავლის დასრულების შემდეგ. ერთი სასიამოვნო ამბავი კიდევ: რამდენმამე გლეხ-კაცმა მისცა პირობა აქაურს მასწავლებელს, რომ თავისუფალს დროს ვივლით სკოლაში, თუ წერა-კითხვას გვასწავლიო.

ნ. სააკაძე

**სვანეთი**, 27 აგვისტო. წელს კარგს მოსავალს მოელიან სვანები; ნამუშევარი კარგი დადგა; თივაც საკმაოდ მოუვიდათ. მკისა და თიბვის დაწყება-კი ჩვეულებრივ უფრო გვიან მოხდა, რადგანაც 20-ს ივნისიდამ 7-ს აგვისტომდე თითქმის მუდამ ავდარი იყო. მთა ადგილებში, მაგალითად, უშგულის საზოგადოებაში, 17-ს აგვისტოს დაიწყეს მკა, რადგან მანამდე ნამუშევარი არ დამწიფდა. სვანეთში ისევე ბუდობს წყეული სახადი, რომელმაც ამ ორის წლის განმავლობაში ბევრი სვანი იმსხვერპლა და აწიც თავისას არ იშლის. ექიმი იყო სვანეთში დროებით გამოგზავნილი, მაგრამ ავადმყოფ სვანებისათვის მას არაფერი სარგებლობა არ მოუტანია; მოვიდოდა რომელსამე სოფელში, იკითხავდა, აბა, ვის ოჯახში არის სნეულებაო, და როცა შეიტყობდა, კარბოლის სიმყავეს მასცემდა სისხლში მოსაპკურებლად. ამითი ათავებდა თავის მკურნალობას. ავადმყოფს სახლში არ ნახულობდა, დაჯდებოდა ერთს ადგილას და ეუბნებოდა ხალხს: აქ მომიყვანეთ ავადმყოფი და დავხედავო. მძიმე ავადმყოფს, რასაკვირველია, იქ არავინ მიუყვანდა.

სვანეთის ბოქაული, ბ-ნი აკტოვსკი, დაითხოვეს. ეს ადვილად მოსალოდნელი იყო, რადგანაც ხალხს მისი არაფერი ესმოდა და მას ხალხისა; ამიტომ მისი თარჯიმანი ხალხს იმას-კი არ ეუბნებოდა, რასაც ბოქაული ამბობდა, არამედ რასაც თითონ მოინებებდა. ბოქაულად ამ ჟამად დანიშნეს სვანი, თ-დი ჯ. დადეშქელიანი, რომელზედაც ჯერჯერობით არაფერს ვიტყვით. სვანეთი ისეთი მიყრუებული მხარეა, რომ ბოქაულს აქ ბევრი რამ შეუძლიან: ავიც და კარგიც. ვისურვებთ, რომ ესლანდელს ბოქაულს ავი არა და კარგი-კი ბევრი ექმნას თავის სამშობლო კუთხისათვის.

სვანეთში მობრძანდა ზაფხულში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი, უოვლად სამღვდელო გრიგოლი. ცუდი ამინდი დაუდგა და აღბად ეს იყო მიზეზი, რომ ყველა სოფლები ვერ დაიარა. სვანეთს ეწვია აგრეთვე ლეჩხუმის მაზრის ახალი უფროსი, ბ-ნი ალშიბაია. ბ-ნი ალშიბაია მოგზაურობდა იმისთვის, რომ, სხვათა შორის, აეხსნა ხალხისათვის სამხედრო ბეგარის საქმე. სვანეთიდგან გამოწვეულია 100 კაცი, რომელთაგან, როგორც შევიტყე, ათი კაცი უნდა გაიყვანონ სამსახურში კენჭით. ერთი დაბრკოლებაა სვანეთში ჯარში გამოსაწვევ კაცისათვის: მათ არა აქვთ მეტრიკა... თითონ სვანებმა თავის წლოვანობა იციან ზეპირად, მაგრამ კანონის წინაშე ეს ზეპირად ცოდნა ვერაფერი საბუთია, მას არავინ შეიწყნარებს...

მოგზაურთაგანი წელს სვანეთს ეწვივნენ რამდენიმე გერმანელნი, ვენგრიელნი, გეოგრაფი, წევრი ლონდონის გეოგრაფიულის საზოგადოებისა, ბ-ნი დეჩი, რომელიც ეს სამი წელიწადია ყოველს ზაფხულს მოდის სვანეთში; სეკრეტარი იმავე ლონდონის საზოგადოებისა, ბ-ნი ფრეშფილდი, და ორიც რუსი. გერმანელები გადავიდნენ „დონღუზორუმის“ უღელტესილზე იალბუზისაკენ, დეჩიმა გახვლო მუჟალისა და ეწყერის შუა მდებარე უღელტესილი, რომელიც უმნელეს უღელტესილად არის ცნობილი და რომელზედაც გამოცდილ სვანეთის მონადირეებსაც უჭირთ სიარული. დეჩის თანა ჰყავდა ფოტოგრაფი; ბ-ნი ფრეშფილდი-კი მდ. ენგურის სათავედამ გაუდგა გზას და მდ. რიონის სათავეში მივიდა, იმ გზით, რა გზითაც ჩვენ წავედით 1885 წ., რომელიც აწერილი გვქონდა მარშანდელს „ივერიაში“. ბ-ნი ფრეშფილდი კიდევ ყოფილა სვანეთში, სახელდობრ, 1868 წ. და ამავე წელს ასულა იალბუზსა და ყაზბეგზე, რომელიც დანიშნული აქვს თავის სამგზავრო ჯოხზე.

თ—ი სვანი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

კიდევ ახალი „ინციდენტი“ დაიბადა... საფრანგეთისა და გერმანიის სამზღვარზე კვლავ მოხდა ისეთი ამბავი, რომელსაც შეიძლება ფრიად საყურადღებო შედეგი მოჰყვეს და, ვინ იცის, იქნება გერმანია და საფრანგეთი ერთმანერთსაც შეაჯახოს, თუ თოფ-იარაღით არა, დიპლომატებურად მაინცა.

თუ ვინიცობაა თოფ-იარაღი შეიხეს ამ ორმა დიდმა სახელმწიფოებმა და ერთმანერთს გაემკლავენ, ბრძოლა სასტიკი იქმნება და ბრძოლის შედეგი ფრიად საეჭვო.

ამ გვარ ყოფაში ყველა კითხულობს კიდევ, ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდებაო?

გაზ. „Совр. Изв.“-ს ჰგონია, რომ ფრანგები გაიმარჯვებენო.

რაც დრო გადის,—ამბობს გაზეთი, უფრო ცხადდება, რომ გენერალი ბულანჟე სწორედ ის კაცი, რომელიც განგებას დაუბადნია გერმანიელებისათვის სამაგიეროს გარდასახდელად. ძალიან საფიქრებელია, რომ საფრანგეთი აჯობებს გერმანიას. ფსიხოლოგიური და ისტორიული მოსაზრებაც-კი თითქმის ამას გვეუბნება. საფრანგეთი კარგად არის მომზადებული, მისი ჯარის-კაცნი უფრო მეტის მხნეობით და მამაცობით არიან სავსენი, ვიდრე გერმანიისა. გერმანიის ჯარის-კაცნი უფრო მოვალეობის გამო დაიწყებენ ბრძოლას, უსულ-უგულოდ. ფრანგნი-კი სულითა და გულით შეუტევენ მტერს, რადგან უფრო ცხარე და აღტაცებულის ბუნების ხალხია. ფრანგები ან ასე გატაცებული დაიწყობენ ბრძოლას, ან სულ არ მოჰკიდებენ თოფ-იარაღს ხელსა, როგორც 1870 წელსა ჰქმნეს. ფრანგები უთუოდ ისეთს დროს არ აირჩევენ ომისათვის, როგორც იყო 1870 წელი. გერმანიის ჭკვიანმა კანცლერმა იცის ესა და ცდილობს თავიდამ აიცილოს ომი, არა იმიტომ, რომ დიდ-სულოვანია და ეცოდება საფრანგეთი, არამედ იმიტომ,—დარწმუნებული არ არის, მოიგებს თუ არა საქმეს, საფრანგეთს რომ ომი აუტეხოს.

---

ბისა სიმღერითურთ ერთი-ერთმანერთზე გადაბმულია ერთ მშვენიერ კონად, რომლისაგანაც კაცი ერთიანს ზედ-მოქმედებასა ჰგრძნობს და არ ილაღება.

ეკკლესიაში ხმა, გალობა შეერთებულია სამღრთო მსახურებასთან და გამომხატველია სიტყვასთან ერთად ვედრება-ღაღადებისა, მოწიწებისა და დიდებისა. გალობა ამ გვარად შესავსები, მისამატი კუთვნილებაა საეკკლესიო მღვდელ-მოქმედებისა და არა ცალკე საგანი.

ვენახ-მინდორში სიმღერა სიტყვასთან ერთად ანუ უსიტყვოდ შეერთებულია მუშაობასთან, მოძრაობასთან; ოჯახობაში-კი იგი შეკავშირებულია ლხინთან, სადილთან, ანუ ცეკვათამაშობასთან. სიმღერას აქაც ცალკე არა ვხედავთ, როგორც განცალკევებულს საგანსა.

ამ გვარად გალობას ანუ სიმღერას ცალკედ არსადა ვხედავთ. მხოლოდ ერთად-ერთი შემთხვევაა, როდესაც გალობა ანუ სიმღერა ცალკედ, შეუკავშირებლად იჩენს თავსა—სპეციალური სკოლაა, სამუსიკო თუ საზოგადო სასწავლებელი სკოლა. იქ გალობა-სიმღერა არის საკუთარი შესასწავლი საგანი, სხვა საგანთან შეუკავშირებლად და შეუერთებლად სავარჯიშო. აქ მას ერთი საგანი აქვს—ხმის შეწყობის შემუშავება და დასწავლა.

სხვა პრაქტიკული განზრახვა მის გარედ არის და შემდეგში უნდა შეერთდეს სხვა საგანთან ან ხელოვნების ასპარეზზედ, ან და ცხოვრებაში თავისათვის საცალკეოდ გამოიყენოს მისმა შემსწავლელმა (რასაკვირველია, ჩვენ აქ პრაქტიკულს ვარჯიშობაზე ვლაპარაკობთ და უარს არა ვყოფთ საზოგადო ფსიხო-პედაგოგიურს მნიშვნელობასა ვარჯიშობისას ადამიანის აღზრდაში).

ყოველ ამ თქმულისაგან შეგვიძლიან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ გალობა-სიმღერა როდესაც შეერთებული არ არის სხვა ხელოვნებასთან, პრაქტიკული სავარჯიშო ასპარეზი არა აქვს ცხოვრებაში. მუდამ დღიურს ცხოვრებაში მას შეუძლიან მხოლოდ ხანდისხან თავის გამოჩენა საზოგადოების წინაშე, როგორც დასაფასებელ საგანს მისის ღირსებით, ანუ ნაკლულევანებითა. გუნდი მგალობელ-მომღერალთა ამ გამოჩენით შეიძლება შევადაროთ რომელსამე გამოფენასა. ამიტომ ამასაც კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, როგორც სასწავლო საგნების გამოცდასა, და არა პრაქტიკული ანგარიში.

ამის დაფასებას ცოდნა, გახსნილი გემოვნება, სწავლა და კრიტიკის ნიჭი უნდა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, ისეთი რამ არის, რომელიც მთლად საზოგადოებას ვერ მოეთხოვება და ამიტომაც ერთხელ-ორჯელ ნახვის შემდეგ მის ყურადღებას ვერ მიიზიდავს, და მომეტებულად ყველგან ასეც არის. მომღერალ-მგალობელთა გუნდების კონცერტები ძალიან იშვიათია, წელიწადში თითო-ოროლჯერ თუ სადმე იმართება, უფრო სასწავლებლებში, და ისიც უფასოდ.

ამ ნათქვამის შემდეგ ჩვენ გვგონია რამდენადმე გამოვარკვიეთ ჩვენი საკითხველი: „რა არის მომღერალთა გუნდი, რა დანიშნულებას ემსახურება და ეს ხელოვნება რომ ხელობად გახდეს, შეუძლიან გაუძლეს და დააკმაყოფილოს თავისი საჭიროება, თუ არა?“

ამ მხრით რომ შევხედოთ, ჯერ მგონია გამორკვეულად ვერ ვიტყვით, თუ რა საგანი აქვს ბ-ნ აღნიაშვილის გუნდს. თუ გუნდს მხოლოდ ქართულ სიმღერების შესწავლა აქვს, ესე იგი 1) შეკრება ქართველთა სხვა-და-სხვა თემების სამღერალ მოტივებისა, 2) მისი გარდმოცემა სრულის სინამდვილითა, შეურყვნელად, უკეთესის თვისის სახითა, 3) გადაღება ნოტებზე ამ მოტივებისა,—თუ ეს სამი საგანი აქვს გუნდსა, მას უფრო ის მნიშვნელობა ეძლევა, რაც სიმღერის სკოლასა აქვს. საგანი ძალიან მნიშვნელოვანია და ეს დაუვიწყარი იქნება ჩვენის ხელოვნების ისტორიაში, თუ მისი აღსრულება ახდა. ეს განზრახვა ფრიად სასურველია, სანატრელი და საყვარელია.

მაგრამ მას უნდება უანგარო, საკმაოდ ხანგრძლივი შრომა და ჩვენ ეს გვაფიქრებს, ამიტომ-რომ ყოველგვარი სკოლა მოითხოვს ნივთიერად დაუბრუნებელს ხარჯსა, როგორი სკოლაც უნდა იყოს, სპეციალური (სამუსიკოც მათ რიცხვში) თუ საზოგადო.

პირველმავე წელიწადმა გვაჩვენა, რომ კონცერტების გამართვა ბატონ აღნიაშვილის გუნდს მცირე შემოსავალს აძლევს და ჩვენი გარემოება ჯერჯერობით ხელს ვერ შეუწყობს სხვა მხრით რაიმე შემოსავალი მოუპოვოს. თავში ამისათვის ძალა-უნებურად სხვა აზრი მოსდის კაცსა, ის აზრი, რომ მომღერალთა გუნდმა ისეთს სფერაში მიიღოს მონაწილეობა, რომელშიაც სიმღერა-გალობა თავით თვისით განმარტოებული და განკერძოებული საგანი არ არის, არამედ შეერთებულია სხვა ხელოვნებასთან.

ეს სფერა ზემოხსენებული ორი ტაძარია: ერთი ღვთისა და მეორე სცენისა. დღეს ჩვენში თუ ადგილია, სადაც ხმაშეწყობას ასპარეზი აქვს, ეს ადგილი არის ეკკლესია. სალმრთო გალობის დიდი მნიშვნელობა ადამიანის ისტორიის უპირველეს დროიდგან ცნობილია დღევანდლამდე და ჩვენს ჟამშიაც თითქმის არც ერთი გენიოსი და ნიჭიერი კომპოზიტორი არა ყოფილა, რომ ამ საეკკლესიო გალობაზე და მუსიკაზე არ გაწვრთნილიყოს როგორც ევროპაში, ისე სხვაგან. ვრცელი საერო ასპარეზი უპყრია ეკკლესიას ყოველს ხალხში და ჩვენშიაც აგრეთვე. გალობას ჩვენში ეკკლესიაში ადრეცა

ჩვენ გვგონია, რომ ეხლა ისეთი დრო აღარ არის, გაცმა გარდაწყვეტით სთქვას, რომელი სახელმწიფო რომელს დაჰკრავს და დაწვრილებით გამოიანგარიშოს, ვინ ვის დაამარცხებს. გაზეთს „Совр. Изв.“-იას რაც თავადა ჰსურს, ისა ჰგონია ნამდვილი; ეტყობა გაზეთს ძალიან უნდა, რომ უთუოდ საფრანგეთმა აჯობოს გერმანიას და იმიტომ ლაპარაკობს ასეთის დაჯერებითა. ამას გარდა ევროპაში დღეს ისეა დახლართული საქმეები, რომ წინდა-წინვე ძნელად გაიგებს კაცი, ვინ ვის მხარეზე იქნება და ვინ ვის გაწუდგება გაჭირების დროს.

**

ვერაფერი ბედი სწვევია ერთს პატარა გაზეთს „Слово“-ს გალიციაში. რედაქტორს გაუუქმებია თავისი გაზეთი იმიტომ, რომ ხელის-მომწერნი ნისიის მოყვარენი ყოფილან.

გაზ. „Варшав. Днев.“-ი ასე მოგვითხრობს ამ სამწუხარო ამბავს:

> ვილასაც გაუვრცელებია ხმა, რომ გაზეთის რედაქტორს შემწეობას აძლევენ ფულითაო. ამ ამბისათვის ყური მოუგრავთ ხელის-მომწერთ და ხვედრის ფულის გაგზავნა დაჰზარებიათ: რედაქციას უიმისოდაც ფული საკმაოდა აქვსო, უფიქრიათ ამ ახირებულს მკითხველებს. გაზეთს ამის გამო დიდი ვალი დასდებია და, მეტი ღონე აღარა ყოფილა, გაზეთი უნდა დახურულიყო. საოცარი ის არის, რომ ამ წელს მხოლოდ მეხუთედს ნაწილს ხელის-მომწერლებისას შეუტანია ხვედრი ფული რედაქციაში.

ასეთის ხელის-მომწერლებით, რასაკვირველია, შორს ვერ წავიდოდა გაზეთი.

---

# უცხოეთი

ამერიკა. ასი წელიწადია მას შემდეგ, რაც ამერიკის კონსტიტუცია დაწესდა და მოქმედობს. დღეს ყოველგან ამერიკაში დღესასწაულობენ კონსტიტუციის ასის წლის არსებობის დღეობას.

ამერიკის კონსტიტუციის თაობაზე ერთს რუსულს გაზეთში შემდეგი ცნობანია: ამერიკის კონსტიტუცია ნელ-ნელა შეიქმნა და გაიზარდა. პირველად შეადგინეს წესნი ამ კონსტიტუციისა მაშინ, როცა 13 ახალ-შენი ამერიკისა გაწუდგა ინგლისს და თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს ამბავი მოხდა 11 ივნისს 1776 წელს. პირველი კონსტიტუცია შესაფერი ვერ გამოდგა და 1781 წელს იქმნა შეცვლილი ფილადელფიაში. კონსტიტუცია შეცვალა კონგრესმა ვაშინგტონის თავს-მჯდომარეობით. სხვათა შორის ამ საქმეში მონაწილეობა მიიღეს იმისთანა სახელ-განთქმულმა კაცებმა, როგორნიც იყვნენ ლივინგსტონი, ჰამილტონი, ფრანკლინი და სხვანი. აი უმთავრესნი მარცვნი ამერიკის კონსტიტუციისა. მთავრობა ამ კონსტიტუციის ძალით სამი დაწესებულებაა: ერთი დაწესებულებაა საკანონ-მდებელო დაწესებულება, რომელიც სჯულსა სდებს და კანონებსა ჰქმნის; მეორეა აღმასრულებელი დაწესებულება, რომელიც თვალ-ყურს უგდებს, რომ კანონი აღსრულდებოდეს; მესამეა დაწესებულება სამოსამართლო.

საკანონ-მდებლო უფლება მინიჭებული აქვს კონგრესსა, რომელიც შესდგება სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან. დეპუტატთა პალატაში დეპუტატებს ირჩევს მთელი ქვეყანა, საყოველთაო კენჭის ჩამოტარებით. 30,000 მცხოვრები ირჩევს ერთს დეპუტატს. დეპუტატად შეუძლიან არჩეულ იქმნას ყოველი 25 წლის მოქალაქე ამერიკისა, თუ შვიდი წელიწადი უცხოვრია იმ შტატში, საცა ირჩევენ. დეპუტატების არჩევანები ყოველს ორს წელიწადში ერთხელ არის. დღეს 260 დეპუტატი ჰყავს ამერიკას. თითოეული მათგანი იღებს წელიწადში 6,000 დოლლარს, ანუ 12 ათას მანეთს დაახლოვებით, კურსისამებრ. პალატის თავ-მჯდომარეს-კი 8,000 დოლლარი ჯამაგირი აქვს.

სენატში თითოეულ შტატიდამ ორ-ორი სენატორია არჩეული. ყოველს ორს წელიწადში ერთს მესამედს სენატორებისას ხელ-ახლად უნდა ეყაროს კენჭი. სენატორობის კანდიდატობა შეუძლიან ყველას, ვინც 30 წლისაა და 9 წელიწადზე ნაკლები არ უცხოვრია იმ შტატში, საცა კანდიდატად გამოდის. ჩრდილო-ამერიკის პრეზიდენტის ამხანაგი არის თავ-მჯდომარე სენატისა და 8,000 დოლლარს იღებს ჯამაგირად. სენატორებს იმდენივე ჯამაგირი აქვთ, რამდენიც დეპუტატებს.

პრეზიდენტი აღმასრულებლის მთავრობის წარმომადგენელია. პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს ირჩევენ განსაკუთრებულის არჩევანებით ის რჩეულნი, რომელნიც საყოველთაო კენჭით იქმნებიან ამ საქმისათვის მოწოდებულნი. პრეზიდენტი 35 წლისაზე ნაკლები არ უნდა იყოს და 14 წელიწადი მაინც უნდა ყოფილიყოს ამერიკის მოქალაქედ. ჯამაგირი 25,000 დოლლარი აქვს პრეზიდენტს წელიწადში. მინისტრებს თვრამეტ-თვრამეტი ათასი დოლლარი აქვთ ჯამაგირად და არავითარს მონაწილეობას არ იღებენ პალატაში კამათობის დროს. სენატის დასტურებით პრეზიდენტს ნება აქვს დასდოს ხელ-შეკრულობანი, დანიშნოს სადიპლომატო აგენტები, ადმინისტრატორები და წევრნი უმაღლესის სასამართლოსი. პრეზიდენტის მოქმედებათა განსჯა და განკითხვა შეუძლიან პალატას, რომელიც თავის გარდაწყვეტილებას ბრალდებულობის თაობაზე გარდასცემს სენატს განაჩენისა და მსჯავრის წარმოსათქმელად.

სასამართლო სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი დაწესებულებაა. სასამართლოს წევრთ სიკვდილამდე ვერავინ ვერ გამოსცვლის. სასამართლოს დიდი უფლება აქვს მინიჭებული და შეუძლიან უარ-ჰყოს ის კანონებიც-კი, რომელსაც შტატები შეადგენენ, თუ დაატყო, რომ არ ეთანხმება ის კანონები კონსტიტუციის დედა-აზრსა და კონგრესის გარდაწყვეტილებათა.

საერთო საფედერაციო მთავრობა და თითოეული შტატი ისეა ერთმანერთში მორიგებული, რომ არავითარი უთანხმოება არა სდება მათ შორის. თითოეულს შტატს თავის საკუთარს საქმეებში სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული და, როგორც უნდა ისე მოიქცევა, ოღონდ საერთო ინტერესები-კი არ დაარღვიოს.

ამერიკაში თავისუფლება და თანასწორობა ისე-კი არ არსებობს, როგორც ზოგიერთგან, საცა ერთი სჩაგრავს მეორეს. იქ თავისუფლება თავის აშკებას არა ნაშნავს. სმა კრისა და ნება მისი წესსა და რიგს არ არღვევს, სურვილი ქვეყნისა რესპუბლიკის საერთო კეთილ-დღეობას ძირს არ უთხრის; კონსტიტუციის შეკვებასა და შეცვლას არ მოსდევს უარყოფა ზოგიერთის ძველის წესისა, სრულს თავისუფლებას სინიდისისა და სარწმუნოებისას მოსდევს დიდი ღვთის სიყვარული და ღვთისმოსაობა; ჯვარი და ლაშქარი არ არის, მაგრამ მამაცობა და გულადობა-კი ერში ამიტომ სრულიადაც არ არის გამქრალი; თუმცა ყოველ-ქვეყნიდამ დიდ-ძალი ხალხი ეტანება სხვადა-სხვა თესლისა და მილეთის, მაგრამ მამულის სიყვარული, მამულის-შვილობა და პატრიოტობა მაინც ძლიერია.

ეკონომიურად ხომ ამერიკამ, თავის კანონებისა და კონსტიტუციის წყალობით, დიდი წარმატება გამოიჩინა. ასის წლის წინად იქ იყო მხოლოდ 3 მილიონი მცხოვრებელი და ეხლა-კი 60 მილიონია. 1830 წელს ჩიკაგოში 30 კომლი მოსახლე იყო, ეხლა-კი 260 ათასი მცხოვრებელია.

---

# წვრილი ამბები

— «Journal Officiel»-ში გამოცხადებულია საერთა-შორისო კონვენცია ლიტერატურის და მხატვრობის ნაწარმოებთა საკუთრების დაცვაზედ. ეს კონვენცია შეუკრავთ ბერნსა და ხელ-მოწერილი აქვთ საფრანგეთსა, გერმანიასა, ბელგიასა, ისპანიასა, ინგლისსა, იტალიასა, შვეიცარიასა და სხვა წვრილ სახელმწიფოთ. ყოველს სახელმწიფოში მწერალთ კანონით ისეთივე უფლება აქვთ კონვენციის ძალით მინიჭებული, როგორიც თავის სამშობლოში. კონვენციაში თხზულებათა თარგმნაც არის მოხსენებული. განსაკუთრებითი უფლება თარგმნისა აქვთ თვით მწერალთ—ავტორებს ათას წლის განმავალობაში. ეს კონვენცია 5 დეკემბრიდგან დაიწყებს მოქმედებას.

— ვგონებ მთელს ქვეყანაში არ იყოს ცრუ-მორწმუნოება ისე გავრცელებული, როგორც ბელგიაში. გრძნეულნი, მკითხავები, თვალთ-მაქცები და სხვა მატყუარანი მრავლად არიან მოფენილნი ბელგიის დაბა-სოფლებში. ერთი თვეც არ გაივლის ისე, რომ მოსამართლემ არ დაასჯიროს რომელიმე მათგანი ციხეში ხალხის მოტყუებისა და თვალთ-მაქცობისათვის. ზოგიერთნი მათგანნი დიდ-ძალს ფულს იგებენ და სამ-ოთხ სართულიან სახლებს აშენებენ მკითხაობითა და თვალთ-მაქცობით მოგებულ ფულით. მთავრობა ყოველ ღონის-ძიებასა ჰხმარობს ამ მატყუართა გაწყობისათვის, მაგრამ ჯერ ჯერობით ვერა მოუხერხებია-რა. მაგალითებრ, ისეთი დიდი ქალაქები, როგორც არის ბრიუსელი, ანტვერპენი, ლიუტტისი და სხ. საესებით სავსეა თურმე ამ მატყუარებითა და ხალხის მაცდუნებლებით. ბრიუსელში ამას წინად დაუპატიმრებიათ მკითხავი-ქალი პოლინა. პოლინასთან უმეტესად მაღალის საზოგადოების ქალები დაიარებოდნენ თურმე სამკითხაოდ. თითოეულს პირის-სანახავზე 8—9 მანეთს იღებდა თურმე პოლინა. პოლინამ მაღალ საზოგადოების ყოველ წევრის შინაური ამბავი და გარემოება იცოდა თურმე და ამის გამო დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. კეთილშობილ ქალთა მოახლენი შეპირებული ჰყავნდა თურმე პოლინას, გასამრჯელოს აძლევდა ხოლმე და ისინიც ხელს უმართავდნენ, უამბობდნენ თავის ქალბატონების პოლინას შორს-მხედველობას და მკითხაობის უნარს. პოლინას თვალთმაქცობა და მატყუარობა დაუმტკიცებიათ ერთს მეჯინიბესა და ერთს სტუდენტს. ეს ორნი მივიდნენ თურმე მკითხავთან და იკითხეს: გვითხარი, სად დამალა ნაპოლეონ I-მა ყოველივე თავისი განძი ვატერლოოს ბრძოლის შემდეგაო. რა თქმა უნდა, მკითხავს ვერ გამოუცვნია, პასუხი ვერ უგია და ამიტომ სტუდენტსა და ვაჟარს საჩივარი შეუტანიათ სასამართლოში.

— აი კიდევ ერთი კეთილშობილის მთავამავლობის ქალი შესულა სცენაზედ მომღერალ ქალად. თავადიშვილის ქალს ანნა რატიშვილისას პარონით შეჰკვრიან და მიუპატიჟებიათ ბერლინის საზამთრო ბალის სცენაზედ სათამაშოდ. რატიშვილისა ვერა გორზშევას სახელით უნდა გამოვიდეს სცენაზედ. რატიშვილისა აქამდე პარიჟში იყო და კაროლინა პატტის ზედამხედველობის ქვეშ სწავლობდა თურმე მღერა-გალობას.

— ამას წინად შემდეგი გულ-გამგმირავი ამბავი მომხდარა პარიჟში. პოლიციის განყოფილებაში მიუყვანიათ ერთი დაჭერილი კაცი, რომელსაც მერძევესაგან რძე მოუპარავს. დამნაშავესათვის როცა განაოზა უკითხავთ, გამოუცხადებია, რომ მე ადრე გუსარის რაზმის პორუჩიკადა ვმსახურებდიო. გაკვირვებულს პოლიციის მოხელეს გამოუძიებია ეს საქმე და მართლაც აღმოჩენილა, რომ ბრალდებული ნაპორუჩიკალი ყოფილა. საბრალო 1885 წ. მშვენივრად სცხოვრობდა თურმე და ძალიანაც უყვარდათ ამხანაგებს. ბოლოს სამსახურიდგან გამოსულა, შეურთავს ერ-

---

და ეხლაც უპირველესი ადგილი სჭერია და უჭირავს. მის გარედ ხმის შეწყობას საერო ასპარეზი ვიწრო ჰქონია, რადგანაც ჩვენი თეატრი სუსტია. სამუსიკო ქართული სასწავლებელი არც ყოფილა და არც არის. ამის გამო ბატონის ალნიაშვილის გუნდი, ჩვენის აზრით, მარტო მომღერალთა გუნდი-კი არ უნდა იყოს, არამედ მგალობელ-მომღერალთა გუნდი ტფილისში: ვგონებთ მოიპოვებდა საპატიო ადგილს ტფილისის ეკკლესიებში, რომელნიც მოკლებულნი არიან გაწყობილ-გაწვრთნილ მგალობელთა გუნდსა; საჭიროება-კი ხშირია. ბევრჯელ გაგვიგონია, როდესაც რომელსამე ეკკლესიაში უთხოვნიათ და შეუკვეთიათ წირვის ან ქორწინების დროს—ქართული მგალობელნი მოიწვიეთო, პასუხად მიუღიათ—არ გახლავთო. ამ გალობას ზნეობითს სარგებლობასთან შეიძლებოდა, რომ ნივთიერი სარგებლობაც ჰქონოდა, რადგანაც დღეს არის იმისთანა ეკკლესიები, რომელშიაც რუსის მგალობლები თითეობით ჯამაგირს იღებენ. დანარჩენს ეკკლესიებში უეჭველია მოეპოვებათ იმდენივე ღონის-ძიება, რომ ჯამაგირის გაღება შეიძლებოდეს ქართულ მგალობლებისათვის. აქ მოხსენებულს გარდა, ტფილისში მაგალითი თვალ-წინა გვაქვს, კათოლიკეთა და სომეხთა ეკკლესიებში მგალობელნიცა, ლოტბარებიცა და მეორღანენიცა ჰყავთ. როგორ მოიფიქროს კაცმა, რომ ქალაქში ორმოც ათასს მართლ-მადიდებელ მრევლისაგან ეკკლესიების ხარჯს მგალობელთათვის ვერა გადარჩეს-რა? ნუ დაივიწყებთ, რომ ყოველგან, თუ ევროპაში, თუ რუსეთში და თუ ჩვენში, სადაც ეკკლესიას გარეგანი სიბრწყინვალეცა აქვს, ხალხი იქ ეტანება. ჩვენს სამღვდელოებასაც ვგონებთ ეს მარტივი აზრი თან-და-თან ესმის. გალობის სიმშვენიერე ერთი ბრწყინვალე მხარეა ღვთის მსახურებისა. მაშასადამე, რომელისამე ეკკლესიის კრებული ამას ვერ უარ-ჰყოფს და ქართულის გუნდის ყოლასაც მოისურვებს.

ჩვენი თეატრი, სცენა, დღეს თუმცა სუსტია, ოპერა არა აქვს, მაგრამ მრავალი სასცენო პიესებია, რომელშიაც სამღერალები არის და ამის გამო მომღერალთა გუნდი დასჭირდება. შემდეგში შესაძლებელია ნელ-ნელა ოპერებიც გადმოღებულ იქმნას და მაშინ ხომ მომღერალთა გუნდი უეჭველი შეიქნება.

ჩვენ გვგონია, რომ ბ-ნ ალნიაშვილის გუნდი თავის განზრახულ საქმეს არ გადუხვევს, თუ მგალობელმომღერალთა გუნდად გადიქცევა, ესე იგი, თუ საერო სიმღერასთან ქართულ საეკკლესიო გალობასაც შეისწავლის და პრაქტიკულად იმუშავებს ეკკლესიაშიაც და თეატრშიაც. მას ეს პრაქტიკული მოსაქმეობა, იმედია, რასმე ნივთიერს შემწეობას აღმოუჩენს, ფეხს მოაკიდებინებს პრაქტიკულად ცხოვრებაში და ამ ასპარეზზე თან-და-თან წინ წასწევს განზრახულს საგანსაც.

ამას გარდა არის ერთი გარემოებაც, რომელმაც ღონე და ძალა უნდა შეჰმატოს. ეს არის გუნდის მოსაქმეობის ჯეროვანი დაფასება, როგორც ხელოვნებისა. გუნდს თუ თან-და-თან ხელოვნებაში წარმატება არ დაეტყო, ყურადღების ღირსად დიდხანს ვერ დარჩება. თუ გუნდს ევროპიული მუსიკის შესწავლაც არ დაეხმარა, ფეხს წინ ვერ წასდგამს. თუ მას მგალობელ-მომღერალთა რიცხვში კაი ხმის მქონებელნი მონაწილენი არ ეყოლება, მქრალად და შეუნიშვნელად დარჩება და საზოგადოებას არ მიიზიდავს. ეს საზოგადოდ ყველასათვის საცნაურია და აქ ვამბობთ იმიტომ-კი არა, რომ გვეგონოს ვისმე დავიწყებული ჰქონდესო. ამის თქმით მე მინდა, რომ საკუთარ ღონის-ძიების უქონლობაში მოვიგონოთ ტფილისის სამუსიკო სკოლა.

დღეს ამ სკოლას განაგებს ნიჭიერი და მცოდნე კაცი, იპოლიტოვ-ივანოვი, რომელსაც, როგორც ვიცით, ამ ჟამად ნოტებზე საკმაოდ ბევრი საგალობელი გადუღია უპატივცემულესის ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს შეკვეთით; მას, როგორც გაგვიგონია, დიდად საინტერესოდ მიაჩნია ქართულ სიმღერის მოტივები და უთქვამს, რომ მისი გაცნობა განძი იქნება მსოფლიო სამუსიკო სფეროშიო. ამ სიმღერებისაგან ზოგი კიდეც დაუწერია სოფლებში ყოფნის დროსა და გამოცემასაც თურმე აპირებს. ყველა ეს რომ ვიქონიოთ მხედველობაში იმასთან ერთად, რომ ქართველი მოსწავლე დღეს ტფილისის სამუსიკო სკოლაში თითქმის არავინ მოიპოვება, იქნება როგორისამე მხრით შესაძლებელი ყოფილიყო, რომ ბ-ნ ალნიაშვილს თავისი გუნდი ამ სკოლასთან მოეწყო. მეორეს მხრით სამუსიკო სკოლას, დაარსებულს საქართველოს დედა ქალაქში, დიდ ღირსებად ჩაეთვლებოდა, რომ თავის ჭერ-ქვეშ მოეთავსებინა ისეთი განყოფილება მოსწავლეთა, რომელნიც ადგილობრივს გალობა-სიმღერაზე შრომასა სწევენ და იქნება საქვეყნო სახელი შესძინონ სასწავლებელსა.

ეს ყოველივე ჩვენი მოსაზრება წარმოვადგინეთ იმ განზრახვით, რომ უყურადღებოდ დატოვება ბ-ნ ალნიაშვილის გუნდისა არ შეიძლება. დედააზრი ჩვენი ის არის, რომ ახლად დაწყებულს საგანს, ქართულ-გალობა სიმღერის საქმეს, მკვიდრი საფუძველი მიეცეს, მას წარმატებას ახლდეს დაბრკოლება და უქმი შრომა, წვალება და სატანჯველი.

საგანი ძვირფასია, საყვარელია; მისი წარმატება ჩვენის სულიერის სიცოცხლის განვითარება და ხელოვნების წარმატებაა.

ვ.

თი ახალგაზრდა ქალი, დაზინავებულა პარიჟში და 60 მან. დამდგარა თითეში ერთს ვაჭართან. ამ ნახევარ წლის წინად თავისი საყვარელი ცოლი ავად გახდომია და თუმცა ამ ავადმყოფობაზედ დაუხარჯავს მთელი თავისი მონაგარი და მავის დღისათვის გადადებული ორიოდე გროში, მაგრამ ცოლი დღითი-დღე თურმე სულ უარესსა და უარესს მდგომარეობაში ვარდება. ბოლოს ისე გახშნელებია ავადმყოფობა ქალსა, რომ რმას მეტს ვედარავერსა სჭამდა თურმე. კაცს-კი ორი გროში არ აბადია. რომ ვერა ღონისძიებით ვერ უშოვნია ფული, მისულა და რძის მოპარვა მოუწადინია. პოლიციის მოხელეს გაუნთავისუფლებია ეს კაცი და არ დაუსჯია ჩადენილ ბრალის გამო. დაბრუნებულა ხელ-ცარიელი პორუჩიკი სახლში, უნახავს სულთ-მობრძავი ცოლი, მოუცდია ცოლის გარდაცვლამდე და შემდეგ თითონაც შუბლში ტყვია უკრავს.

## გასართობი

კიევში ძალიან ჭკუა-მახვილი და გონიერი მესაათე ყოფილა, ი. გოლდმანი, და ამ გოლდმანს ამას წინად აზირებული საათი მოუგონია. საათზედ რკინის გზის სადგურია გამართული, ლიანდაგია გაყვანილი, რკინის გზის ფარდული დგას და სხ. ყოველ ნახევარ საათზედ, შეიძლება ადრეც, სადგურის კარები იღება, გამოდიან სადგურის უფროსი და ჟანდარმის უნტერ-აფიცერი; 1-ლსა და მე-2-რე კლასის ოთახებში მგზავრნი აიშლებიან, მე-3 კლასიდგან ტვირთეულობა და ბარგი გამოაქვთ. აგერ მატარებელიც მოახლოვდა. სადგურის დარაჯი ზარს მოავლებს ხელს და მკაფიოდ გაისმის ზარის წკარუნი. ერთი მსახური რკინის გზისა წყალს ეზიდება და მატარებლის ლოკომოტივში შეაქვს. ამასობაში ხალხი მიდი-მოდის, ერთმანეთს ეხლებიან, ბარგი შეაქვთ და გამოაქვთ; დარაჯი-კი კვლავ ჩამოჰკრავს ზარს მეორედ და მესამედ ხანგამოშვებით. სადარაჯო ფარდულიდგან გამოდის ნიშნის-მიმცემი დარაჯი, რომ მატარებელი დაიძრასო, აგერ სტვენაც მოისმა და მატარებელი გასრიალდა. მთელი ეს ამბავი სულ ხუთს წუთს გასტანს თურმე.

რასაკვირველია, ამ საათს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, პრაქტიკულად მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო თვალისათვის-კი მეტად სასიამოვნო სანახავი და სურათი უნდა იყოს. ამ მოხერხებულის საათის გამართვაზე ბ-ნს გოლდმანს სრული ხუთი წელიწადი მოუხმარებია და ეხლა განზრახვა აქვს თურმე, რომ მიჰმართოს მრეწველობისა და ვაჭრობის დეპარტამენტს და სთხოვოს: რადგან ეს საათი საკუთრივ ჩემი ნამოქმედარია, ნება მომეცით, რომ ამ საათის გამართვა არავის შეეძლოს ჩემს მეტსაო. ამ ჟამად გოლდმანი ხარკოვშია და ეს თავის მიერ ახალად მოგონილი საათი უნდა სამეურნეო გამოფენაზედ შეკრებილს საზოგადოებას აჩვენოს.

ამ საათი-მატარებლის გარდა ბ-ნს გოლდმანს გაუკეთებია სხვა საათიც—ისეთი, რომელიც ერთსა და იმავე დროს საათობასაც უწევს ადამიანს, აღვიძებს კიდეც დანიშნულს დროზედ და ყავასაც უხარშავს. ამ საათს ჩვეულებრივის საათის სახე აქვს, ხოლო დაწოლის დროს ერთის მხრივ უნდა კართოფილის სანთელი დაუდგათ საათს, მეორეს მხრივ საყავე სპირტის ლამპარით და დანიშნავთ დროს, როცა გსურთ გამოღვიძება. დაჰრეკავს თუ არა საათი, ზარი წკარუნს მოიღებს და განსაკუთრებითის მოწყობილებით სანთელსაც აანთებს და საყავეს სპირტსაც ცეცხლს მოუკიდებს. ვიდრე ჩაიცვამთ საათის მიერ ანთებულ სანთლის სინათლეზე, ყავა მოხარშული დაგხვდებათ, არხეინად შეექცევით და გასწევთ თქვენს საქმეზე. ამ საათს გოლდმანი 25 მანეთადა ჰყიდის და მეტადაც, იმის მიხედვით, თუ გარეგანის მხრივ როგორ იქმნება გალამაზებული და შეკეთებული.

# დეპეშა

15 სექტემბერი

**პარიჟი.** გაზეთები თავ-შეკავებით ლაპარაკობენ იმ მკვლელობაზე, რომელიც მოხდა საფრანგეთის და გერმანიის სამზღვარზე. იმედი აქვთ, რომ გერმანია, თუ საჭირო იქმნება, შესაფერად დააკმაყოფილებს საფრანგეთსაო.

**სტრასბურგი.** ოფიციალურის გამოძიებიდამ, რომელიც სწარმოებს იმავ მკვლელობის გამო, სჩანს, რომ თოფი უსროლიათ გერმანიის მიწაზე და მკვლელობაც იქვე მომხდარა მას შემდეგ, როცა ჯარის-კაცის ძახილზე პასუხი არავის გაუცია.

**ლონდონი.** ნიზამ - ჰაიდარ - აბადელს, ინდოეთის სხვა მფლობელთა შორის უმთავრესს მომხრეს ინგლისისას, პირობა დაუდვია, რომ მზადა ვარ ყოველ წლივ ორის წლის განმავლობაში შევიტანო 200 ათასი გირვანქა სტერლინგი ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთის სამზღვრების დასაცველადაო.

**პეტერბურგის ბირჟა, 15 სექტემბერს**

ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 24 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 179 |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | — › | 1 32 |
| 5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — › | — » | 270¹/₂ |
| — მეორისა . . . . | — › | — › | 250¹/₂ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა . . | 99¹/₄ | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . | 99¹/₂ | — › | — › |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . | 83³/₄ | — › | — › |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

სექტემბერი 30 დღით არის.

**17 დღე ხუთშაბათი.** დიდის ქალწ.-მოწ. სოფიასი, სამთა ასულთა: პისტისა, ელპიდისა და აღაპისა. კათოლ. წმ. ფრანცისკესი. მუსულ. მე-12 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 5—56, ჩადის 5—44. მთვარე 13 დღისაა.

**18 დღე პარასკევი.** წმ. ბიძინასი, ელიზბარისა და შალვასი. კათოლ. წმ. ალმას. იოსებ დე-კუპერტისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-13 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 5—57, ჩადის 5—43. მთვარე 14 დღისაა.

**19 დღე შაბათი.** წმ. მოწ. ტრაფიმესი. კათოლ. წმ. იანუარისა და მის მოწ. ამხანაგისა. მუსულ. მე-14 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 5—58, ჩადის 5—41. მთვარე 15 დღისაა.

**20 დღე კვირა.** წმ. მოწ. ევსტათესი. კათოლ. წმ. ღვთის-მშობლის შვიდს წუხილზე. სომეხ. აღების ღამე წმ. ვარნაგა ხაჩისა—წმ. გიორგის მარხვისა. მუსულ. მე-15 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—40. ტფილისში მზე ამოდის 5—49, ჩადის 5—39. მთვარე 16 დღისაა.

**21 დღე ორშაბათი** წმ. მოციქ. კონდრატესი. კათოლ. წმ. წინასწარ-მეტყველისა და სახარების დამწერის მათესი. სომეხ. წმ. მამანტესი, ფილიქტიმონისა და სვიმონ სიუნიკელისა. მუსულ. მე-16 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 6—0, ჩადის 5—36. მთვარე 17 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | 3 | › |
| › 2 › | 2¹/₂ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3¹/₂ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი . . . . | 13 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემსს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს კვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

ტფილისის საქალაქო გამგეობისაგან.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 14 სექტემბრიდამ მხოლოდ ფასით შეიძლება წყლის წაღება ქუჩის საწყლე მილებიდამ შემდეგის წესითა და რიგით:

1) წყალი მიეცემათ მსურველებს საწყლე მილებიდამ იმ ფასად, როგორც ნიხის სიაშია მოხსენებული და ისეთის ჭურჭლებით, როგორიც არის ბოჭკები, ვედროები, კოკები და სხვა ჭურჭელი, რომელთაც საქალაქო გამგეობის დამღა ექმნებათ დასმული და ამ დამღაზე ისიც იქმნება დანიშნული, რამდენი წყალი ვედრა ჩადის თითოეულს ჭურჭელში. თუ ჭურჭელში რამდენიმე ვედრა და ვედრის ნაწილი ჩადის, ეს ნაწილი მთელ ვედრად იქმნება დანიშნული. წყლის წამღებთა მიერ ფულის გადახდის გასაადვილებლად გამგეობის კასაში ისყიდება წიგნები მარკებისა.

**შენიშვნა:** მარკების წიგნის ყიდვის დროს გამგეობის კასიდამ 3⁰/₀ დაეთმობა მსყიდველს, თუ 1 მანეთისა მაინც ერთად იყიდა.

2) წყლის წაღება 1 ნოემბრამდე შეიძლება ყოველ დღე, დილის 6 საათიდამ საღამოს 6 საათამდე. მილები დაკეტილი იქმნება ყოველ-დღე, 12 საათიდამ 1 საათამდე.

**ნიხი ანუ ფასი წყლისა:**

წყალი ვედროებით იქმნება წაღებული, თუ ბოჭკებით, ეღირება ვედრა მეოთხედი კაპეიკისა.

ფასი წყლისა

წყლის მზიდველთათვის.

წყლის მომტანს (თულუხჩებსა და მებოჭკეებს) სახლის პატრონი აძლევს ქალაქის ყველა უბანში ვედრაზე სამს მეოთხედს კაპეიკისას, თუ წყალი ასატანია პირველსა და მეორე სართულში. თუ წყალი სხვა ზემო სართულში იქნება ასატანი, მაშინ წყლის მსურველი უნდა გაურიგდეს წყლის მომტანს.

რამდენი ვედრაც ჩავა თულუხში, ან ბოჭკაში, ზედვე ექმნება დანიშნული თულუხს თუნუქის ნაჭერითა და ბოჭკებს - დამღით. (3—3)


ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: ტფილისში ხარკვიანთან, სემინარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე; გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდის ყურთან, და ქუთაისში ჭილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

დასტურლამალი

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემლისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

ТИПОГРАФІЯ
„КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“
(Н. И. Френкель)

Переведена на Головинскій Проспектъ, противъ Аптеки Гене, въ д. **Шабурова.** Принимаетъ всевозможныя типографскія работы на русскомъ, туземныхъ и иностранныхъ языкахъ. Исполненіе скорое и аккуратное. Цѣны умѣренныя.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ხარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

ორი მოთხრობა

ს. მგალობლიშვილისა

I მევრევაზე

II დიდ ზალაში

ფასი ორი შაური.



მური სიტყვა

თხზ. დ. მაჩხანელისა

დაბეჭდილია „ივერიის“ რედაქციის მიერ, ისყიდება:

ტფილისში—ხარკვიანის, გრიქუროვის, ხიდდეკელის და ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში.

ქუთაისში—ძმათა ჭილაძეთა მაღაზიაში.

გორში—ს. მგალობლიშვილთან.

სიღნაღში—ძმ. შაქერდოვების ჩითის მაღაზიაში.

წიგნი ტფილისში ღირს 20 კაპ., ტფილისს გარეშე—25 კაპ.,

სავაჭრო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

წელიწადი მეექვსე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებსა და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1887—88 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყობა 15 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყობა 25 აგვისტოდამ ყოველ-დღე საღამოს 5 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, ხოლოდაკში, ლაბორატორიის ქუჩაზედ, № 11.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქ გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. ზ. მანუელიანცს